act

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

Empowering *the* Change

დანართები:

დანართი 3. მეთევზეებსა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეებთან ჩატარებული გამოკითხვა

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 3)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ" (ACT).
პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი
მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩობანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

გამოკითხვის მეთოდოლოგია 5

მეთევზეთა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეთა (ფიზიკური პირების) სოციო-დემოგრაფიული პროფილი 6

მეთევზეთა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეთა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საქმიანობა, მათი ცოდნა და დამოკიდებულებები 7

მეთევზეთა (ფიზიკური და იურიდიული პირები) გამოცდილება თევზჭერაში და განწყობები საქმიანობის მიმართ 14

ცხრილებისა და დიაგრამების ჩამონათვალი

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1. თევზჭერის დარგში საქმიანობის მიმართულებები / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 7
ცხრილი 2. თევზის რეალიზაციის არეალი / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 10
ცხრილი 3. თევზჭერის სიხშირე / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 14
ცხრილი 4. მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 15

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. მეთევზეობის დარგში საქმიანობის ხანგრძლივობა / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 8
დიაგრამა 2. მეთევზეობის დარგის მომგებიანობის შეფასება / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 9
დიაგრამა 3. მეთევზეობა, როგორც საქმიანობის ძირითადი სფერო / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 9
დიაგრამა 4. მეთევზეობის გარდა, სხვა სფეროდან მიღებული შემოსავლები / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024 10

დანართი 3. მეთევზეებსა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეებთან ჩატარებული გამოკითხვა

გამოკითხვის მეთოდოლოგია

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით განხორციელებული კვლევის ფარგლებში ჩატარდა მეთევზეებისა და თევზჭერის სფეროში ჩართული მეწარმეების გამოკითხვა 2024 წლის თებერვლის პერიოდში. გამოკითხვის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენდნენ მეთევზეები და თევზჭერის სფეროში ჩართული მეწარმეები. ამ შემთხვევაში რესპონდენტების შესარჩევად „ეისითის“ გუნდი დაეყრდნო ორ მეთოდს:

1) შემთხვევითი შერჩევა „საქსტატის“ მონაცემთა ბაზიდან. კერძოდ, შერჩევა დაეყრდნო „საქსტატის“ ბიზნეს-რეგისტრს, რომელიც წარმოდგენილია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაციის (NACE Rev.2)[1] მიხედვით. აღნიშნულის საფუძველზე, შეირჩა კვლევაში მონაწილე პირები, რომლებიც საქმიანობენ მეთევზეობის დარგში შემდეგი მიმართულებებით:

<u>სექცია A სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა</u>
03 თევზჭერა და აკვაკულტურა
03.1 თევზჭერა
03.11 საზღვაო თევზჭერა
03.12 თევზჭერა მტკნარ წყლებში
03.2 აკვაკულტურა
03.21 საზღვაო აკვაკულტურა
03.22 მტკნარი წყლების აკვაკულტურა
<u>სექცია C დამამუშავებელი მრეწველობა</u>
10.2 თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება
<u>სექცია G საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი</u>
46.38.1 საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით
47.23.0 საცალო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

2) შერჩევა „თოვლის გუნდის“ პრინციპით[2]. „საქსტატის“ ბაზაში მოცემულ პირთაგან ბევრთან დაკავშირება ვერ მოხდა. ამიტომ, „ეისითიმ“ გამოიყენა „თოვლის გუნდის“ პრინციპი რესპონდენტთა ნაწილის შესარჩევად.

---

[1] NACE (ფრანგული აკრონიმი „Nomenclature statistique des activités économiques dans la Communauté européenne“). NACE Rev.2-ში იგულისხმება “საქსტატის“ მეთოდოლოგია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (სეკ) (2016), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის ევროპულ სტანდარტს: Statistical classification of economic activities in the European Community/NACE Rev.2 (2008). (ავტორის შენიშვნა).

[2] შერჩევა “თოვლის გუნდის” პრინციპით (snowball sampling) შემდეგნაირად ხორციელდება: თავდაპირველად შემთხვევითად ირჩევენ რესპონდენტთა საწყის ჯგუფს, შემდეგ კი საწყისი ჯგუფის წევრებს სთხოვენ, მოაძებნინონ გამოკითხვის შესაფერისი კანდიდატები, შემდეგ ამ უკანასკნელთ მიმართავენ იმავე თხოვნით და ა. შ., რის შედეგადაც მიიღება თოვლის გუნდის (რომელიც თოვლში ტრიალისას იზრდება) ეფექტი. მართალია, საწყის ეტაპზე შერჩევა შემთხვევითად ხდება, მაგრამ მომდევნო ეტაპიდან დაწყებული, რესპონდენტთა ამორჩევა უკვე დეტერმინირებულად

საბოლოოდ, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 73-მა პირმა. კვლევის მონაწილეთაგან 44 იყო ინდმეწარმე (ფიზიკური პირები) და 29 - კომპანია (იურიდიული პირები). მონაწილეებს შორის იყვნენ მცირე ბიზნესის სტატუსის (33), ასევე საშუალო და მსხვილი ბიზნესის სტატუსის მქონე (22) მეწარმეები, რესპონდენტების დანარჩენი ნაწილის (18) ბიზნესის სტატუსი გაურკვეველია. კვლევაში მონაწილეთაგან უმრავლესობა (23%) გამოიკითხა აჭარაში; 16% და 15% გამოიკითხა, შესაბამისად, თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში; მონაწილეთა თანაბარი 11-11% ნაწილდება გურიას, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთზე; გამოკითხულთა 7% შიდა ქართლს ეკუთვნის, ხოლო 5% - იმერეთს. რაც შეეხება გამოკითხულთა საცხოვრებელ ადგილს საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით, ამ კუთხით რესპონდენტები თითქმის თანაბრად ნაწილდებიან (52% საქალაქო დასახლების მაცხოვრებლებს უკავიათ და 48% - სასოფლო დასახლების მაცხოვრებლებს).

მეთევზეთა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეთა (ფიზიკური პირების) სოციო-დემოგრაფიული პროფილი

როგორც აღინიშნა, კვლევაში მონაწილე პირთაგან 44 წარმოადგენდა ინდმეწარმეს (ფიზიკურ პირს). მათგან აბსოლუტური უმრავლესობა (89%) არის მამაკაცი, ხოლო 11% არის ქალი. გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (50%) არის 36-55 წლის ასაკის, კერძოდ, შედარებით დიდი ნაწილი (27%) ეკუთვნის 36-45 წლის ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო მეორე ნაწილი (23%) არის 46-55 წლის ასაკის. გამოკითხული ინდმეწარმეების აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია (95%) და რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა არის დაქორწინებული (86%). მიღწეული განათლების დონის მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა (45%) ამბობს, რომ აქვს უმაღლესი განათლება და 18% ასახელებს პროფესიულ/ტექნიკურ განათლებას. გამოკითხულთა უმრავლესობა (75%) არის თვითდასაქმებული (აქვს საკუთარი საქმე/ბიზნესი).

რაც შეეხება გამოკითხულ ფიზიკურ პირთა ეკონომიკურ მდგომარეობას, მათგან 7% აცხადებს, რომ "საკვებზე ფული ძლივს ჰყოფნით"; შედარებით დიდი ნაწილი (30%) აცხადებს, რომ მათ "საკმარისი ფული აქვთ საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა, ან სესხება უწევთ"; თითქმის ნახევარი (48%) კი აცხადებს, რომ მათ "საკმარისი ფული აქვთ საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისთვის და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის რომ შეიძინონ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფულის დაზოგვა, ან სესხება უწევთ". გამოკითხულთა ერთი ნაწილი (27%) მიუთითებს, რომ მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა არის 4, მეორე ნაწილი (23%) ასახელებს 5 წევრს; 2 და 3-წევრიან ოჯახებს გამოკითხულთა 11% და 16% ასახელებს, შესაბამისად. გამოკითხულთა 14% აცხადებს, რომ ოჯახის წევრად ჰყავს შშმ პირი. გამოკითხულთა უმრავლესობა (36%) აცხადებს, რომ ოჯახში ჰყავთ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, ხოლო დამატებით 32% აცხადებს, რომ მის ოჯახში სასკოლო ასაკის ბავშვები არიან.

მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, შერჩევა, მთლიანობაში, დეტერმინირებულ ხასიათს იძენს. ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი მოტივია გენერალური ერთობლიობისათვის არატიპური მახასიათებლების გამოვლენა და მოხერხებულია მცირე, დახურული ან მარგინალური ჯგუფების კვლევის დროს (წყარო: ნინო დურგლიშვილი (2006). "სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი"). (ავტორის შენიშვნა).

გამოკითხულთა 5%-ის თქმით, ოჯახში ასევე არიან ხანდაზმული (საპენსიო ასაკის) ადამიანები.

მეთევზეთა და მეთევზეობის სექტორში ჩართულ მეწარმეთა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საქმიანობა, მათი ცოდნა და დამოკიდებულებები

ზემოთ როგორც აღინიშნა, კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან (73) ინდმეწარმეს (ფიზიკურ პირს) წარმოადგენს 44 მათგანი და დანარჩენი 29 წარმოადგენს კომპანიებს (იურიდიული პირები). გამოკითხულმა პირებმა კითხვარში ჩამოთვლილ საქმიანობის სახეებს შორის აღნიშნეს ყველა, რის ფარგლებსაც მოიცავდა მათი საქმიანობა (რაც გულისხმობს იმას, რომ შეეძლოთ ერთზე მეტი დასახელების მონიშვნა) და შედეგები წარმოდგენილია **ცხრილი** 1-ზე.

ცხრილი 1. თევზჭერის დარგში საქმიანობის მიმართულებები / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

გთხოვთ, მიუთითეთ, მეთევზეობის/თევზჭერის დარგში თქვენი საქმიანობის მიმართულებები: *(სულ 73 გამოკითხული პირი)*	
თევზჭერა (საზღვაო თევზჭერა)	10%
თევზჭერა (თევზჭერა მტკნარ წყლებში)	8%
აკვაკულტურა (საზღვაო აკვაკულტურა)	1%
აკვაკულტურა (მტკნარი წყლების აკვაკულტურა)	25%
თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების გადამუშავება და დაკონსერვება	14%
საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით	33%
საცალო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით სპეციალიზებულ მაღაზიებში	32%
სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა	33%

როგორც ეს **ცხრილი** 1-ზე ჩანს, გამოკითხულ პირთა მთლიანი რაოდენობიდან (73), ყველაზე მეტმა (მესამედმა) დაასახელა მეთევზეობის სფეროში შემდეგი სამი სახის საქმიანობა: (1) საბითუმო ვაჭრობა; (2) საცალო ვაჭრობა; (3) სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საკუთარი საქმიანობის მიმართულებებს შორის რესპონდენტთა 14% ასახელებს თევზის გადამუშავების სექტორს, მეოთხედი ასახელებს მტკნარი წყლების აკვაკულტურას, ხოლო 10% - საზღვაო თევზჭერას. თუ აღნიშნული ინფორმაციის კლასიფიცირებას მოვახდენთ ინდმეწარმეებისა და კომპანიების მიხედვით, მონაცემები აჩვენებს, რომ ფიზიკური პირების შემთხვევაში გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (45%) დაასახელა სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა თავისი საქმიანობის მიმართულებებში; კომპანიების შემთხვევაში კი, უმეტესწილად დასახელდა საბითუმო ვაჭრობა (41%) და მტკნარი წყლების აკვაკულტურა (34%).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულ პირთა უმეტესობის შემთხვევაში (29%) მეთევზეობის და თევზჭერის სფეროში საქმიანობის ხანგრძლივობა ჯერჯერობით ითვლის 5 წლამდე პერიოდს, რესპონდენტთა 20%-ისთვის საქმიანობის ხანგრძლივობა 8-10 წელია. ხოლო 18%-ისთვის - 21 წელი და მეტი (**დიაგრამა** 1).

გთხოვთ, მიუთითეთ, რამდენი წელია, რაც საქმიანობთ მეთევზეობის/თევზჭერის დარგში?

(სულ 73 გამოკითხული პირი)



დიაგრამა 1. მეთევზეობის დარგში საქმიანობის ხანგრძლივობა / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები მცირედით განსხვავდება, თუ ცალ-ცალკე გავაანალიზებთ ინდმეწარმეებისა და კომპანიების გამოპასუხებებს. მაგალითად, ფიზიკური პირების უმრავლესობა (34%) საკუთარი საქმიანობის ხანგრძლივობად 5 წლამდე პერიოდს უთითებს, ხოლო კომპანიათა უმრავლესობა (28%) – 21 წელსა და მეტს.

შემდგომი კითხვით შეფასდა, რამდენად არიან რესპონდენტები რომელიმე ორგანიზაციის ან/და ასოციაციის წევრი მეთევზეობის/თევზჭერის მიმართულებით. გამოკითხულთა უმრავლესობა (78%) უარყოფითად პასუხობს ამ შეკითხვას, ხოლო 14% უარს ამბობს პასუხის გაცემაზე. საბოლოოდ, ამ შეკითხვაზე დადებითად უპასუხა 73 მეწარმიდან მხოლოდ 6-მა (აქედან 5 წარმოადგენს კომპანიას და მხოლოდ 1 - ინდმეწარმეს), რომლებმაც იქვე დამატებით განმარტეს, რომ ისინი, ძირითადად, არიან ისეთი ასოციაციების წევრები, როგორებიცაა "თევზმომშენებელთა ასოციაცია" და "შავი ზღვის მეთევზეთა კლასტერი".

გამოკითხულმა პირებმა შემდგომ შეაფასეს, რამდენად თვლიან, რომ მათი საქმიანობა მეთევზეობის/თევზჭერის დარგში არის ეკონომიკურად მომგებიანი. გამოკითხულთა უმრავლესობა (64%) მომგებიანად თვლის ამ საქმიანობას, ხოლო 25% თვლის, რომ არ არის ეს ბიზნესი მომგებიანი. ცალ-ცალკე ინდმეწარმეებისა და კომპანიების შემთხვევაში პასუხები საინტერესო სურათს აჩვენებს (**დიაგრამა 2**). იურიდიული პირების შემთხვევაში ამ კითხვაზე დადებითი პასუხი 83%-მა დააფიქსირა, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში - მნიშვნელოვნად ნაკლებმა (52%).

როგორ ფიქრობთ, თქვენი საქმიანობა მეთევზეობის/თევზჭერის დარგში ეკონომიკურად მომგებიანია?

(სულ 73 გამოკითხული პირი, 29 იურიდიული პირი და 44 ფიზიკური პირი)



დიაგრამა 2. მეთევზეობის დარგის მომგებიანობის შეფასება / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

ამასთან, კითხვაზე, არის თუ არა მეთევზეობის/თევზჭერის დარგში საქმიანობა რესპონდენტთა შემოსავლის ძირითადი წყარო, გამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობის პასუხი იყო დადებითი (52%) და უარყოფითი (44%). კომპანიების შემთხვევაში ამ კითხვაზე დადებითად უფრო დიდი ნაწილი (66%) პასუხობს, ვიდრე - უარყოფითად (28%), ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში - პირიქით (უფრო დიდი ნაწილი (55%) პასუხობს უარყოფითად და ნაკლები (43%) - დადებითად) (**დიაგრამა 3**).

გთხოვთ, გვითხრათ, მეთევზეობის/თევზჭერის დარგში თქვენი საქმიანობა თქვენი შემოსავლის ძირითადი წყაროა?

(სულ 73 გამოკითხული პირი, 29 იურიდიული პირი და 44 ფიზიკური პირი)



დიაგრამა 3. მეთევზეობა, როგორც საქმიანობის ძირითადი სფერო / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

მეთევზეობის/თევზჭერის დარგის გარდა, ეკონომიკურ შემოსავლებს სხვა სფეროში საქმიანობიდან არ იღებს გამოკითხულთა 53%, ხოლო 44% იღებს შემოსავლებს სხვა საქმიანობიდან (აღსანიშნავია, რომ ამ კითხვაზე დადებითად მოპასუხეთა უმრავლესობა (72%) ფიზიკური პირები არიან; ძირითადი სფერო, რომელსაც ამ კითხვის პასუხად ასახელებენ კვლევის რესპოდენტები, როგორც დამატებითი შემოსავლის წყაროს, არის სოფლის მეურნეობა (38%) და მშენებლობა (25%)). ჯამურად კომპანიების შემთხვევაში ამ კითხვაზე დადებითად უფრო მცირე ნაწილი (31%) პასუხობს, ვიდრე - უარყოფითად (66%), ხოლო ინდმეწარმეების შემთხვევაში - პირიქით (უფრო დიდი ნაწილი (52%) პასუხობს დადებითად და ნაკლები (45%) - უარყოფითად) (**დიაგრამა 4**).

გთხოვთ, გვითხრათ, მეთევზეობის/თევზჭერის დარგის გარდა, ეკონომიკურ შემოსავლებს სხვა სფეროში საქმიანობითაც იღებთ?
(სულ 73 გამოკითხული პირი, 29 იურიდიული პირი და 44 ფიზიკური პირი)



დიაგრამა 4. მეთევზეობის გარდა, სხვა სფეროდან მიღებული შემოსავლები / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპოდენტების უმრავლესობა (58%) მოპოვებული ან/და წარმოებული თევზის რესურსის/პროდუქციის გაყიდვის ადგილად ასახელებს სოფლის/ქალაქის ფარგლებს, 30% მუნიციპალიტეტის ფარგლებსაც ასახელებს და 34% - რეგიონის ფარგლებს, ხოლო მთლიანად ქვეყანაში რეალიზაციის არეალი გამოკითხულთა 21%-ს აქვს (**ცხრილი 2**).

ცხრილი 2. თევზის რეალიზაციის არეალი / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

სად ყიდით თქვენ მიერ მოპოვებულ/წარმოებულ თევზის რესურსს/პროდუქციას? *(სულ 73 გამოკითხული პირი)*	
არ ვიცი / უარი პასუხზე	4%
მთლიანად ქვეყანაში	21%
მუნიციპალიტეტის ფარგლებში	30%
რეგიონის ფარგლებში	34%
სოფლის/ქალაქის ფარგლებში	58%
სხვა	14%

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (86%) აცხადებს, რომ არ სმენია მდგრადი მეთევზეობის/თევზჭერის შესახებ. ის რესპოდენტები, ვინც ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას გულისხმობს მდგრადი მეთევზეობა და თევზჭერა (გამოკითხულ პირთა მთლიანი რაოდენობიდან (73) მხოლოდ 10 პირი არის ასეთი) **მდგრადი მეთევზეობის სხვადასხვა განმარტებებს** წარმოადგენენ, მაგალითად, შემდეგი:

- „სიფრთხილით, მხოლოდ ანკესით თევზაობა";
- „სხვადასხვა სახის (მრავალფეროვანი) თევზის მოშენება აუზში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის";
- „თევზის კვება და მოვლა";
- „თევზჭერის აკრძალვა";
- „მეთევზეების გაერთიანება";
- „კონცეფციის შემუშავება და კანონმდებლობის შექმნა, ასევე, მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანა";
- „სტაბილური თევზჭერა და ადამიანების დასაქმება";
- „მეთევზეობის ბიზნესის წარმოება".

კვლევის მონაწილეების ნახევარზე მეტი (55%) ვერ ასახელებს ხერხებს, თუ როგორ უწყობს ხელს მდგრადი მეთევზეობის და თევზჭერის პრაქტიკას თავისი საქმიანობით. რესპოდენტების დანარჩენი ნაწილი აცხადებს, რომ სხვადასხვა ხერხით ცდილობს **ხელი შეუწყოს მდგრად მეთევზეობას**, მათ შორის, შემდეგი საშუალებებით:

- თანამშრომლობს გარემოს დაცვის სამინისტროსთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- არ იჭერს წითელი ნუსხით დაცულ სახეობებს;
- თევზაობს ბუნებრივი მეთოდებით, თევზს იჭერს ბადით ან ანკესით;
- არ ბრაკონიერობს, არ იყენებს აკრძალულ საშუალებებს თევზის ჭერისთვის;
- არ იყენებს აკრძალულ ნივთიერებებს თევზის ზრდისა და კვებისთვის;
- თავად გამოყავს ლიფსიტები;
- არ ყიდულობს ბრაკონიერული გზით მოპოვებულ თევზს;
- არ იჭერს დიდი რაოდენობით თევზს;
- ცდილობს, მიიღოს განათლება და დანერგოს ტექნოლოგია ამ სფეროში;
- ხელს უწყობს თევზით ვაჭრობას;
- იყენებს იმპორტირებულ პროდუქციას;
- იცავს გარემოს, არ აბინძურებს მას.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეების უმრავლესობას (81%) არ ახსენდება რამე კონკრეტული აქტივობა ან ღონისძიება მათ საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას, რომელიც ჩატარდა სახელმწიფო, მუნიციპალური უწყების, საერთაშორისო ორგანიზაციის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ და რომელიც მიეძღვნა მდგრად მეთევზეობას და თევზჭერას და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებას თევზჭერის დარგში. ხოლო, იმ რესპოდენტებს შორის, რომლებსაც მსგავსი გამოცდილება ჰქონიათ (14 პირი სულ გამოკითხული 73-დან), უმეტესობა აღნიშნავს, რომ მსგავსი **შეხვედრები ჩატარებულა ისეთ საკითხებზე**, როგორიცაა:

- თევზის დაავადებები და სურსათის უვნებლობა;
- მდინარეების გათევზიანება;

- გარემოს დაცვა;
- ბრაკონიერობასთან ბრძოლა;
- თევზის ფესტივალები და ჩემპიონატი;
- შავი ზღვის მეთევზეთა კლასტერის შეხვედრები;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეხვედრები, რომლებიც ლურჯ ეკონომიკას ეხებოდა.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა (78%) ისურვებდა მეტ აქტივობებს/ღონისძიებებს ცოდნის ამაღლებისთვის მდგრადი მეთევზეობის და თევზჭერისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიათა დიდი უმრავლესობა (86%) გამოხატავს ამ სურვილს და ინდმეწარმეთა - 73%. გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს სურს **ისეთი აქტივობების ან ტრენინგების ჩატარება, სადაც ისინი შეიწავლიან სხვადასხვა საკითხზე უფრო მეტს,** მაგალითად, შემდეგი მიმართულებებით:

- თევზის მოვლა და თევზის დაავადებები (იხტიოლოგიის და ლაბორატორიების საკითხები, მათ შორის);
- თევზის მოპოვების მეთოდები;
- თევზის სახეობების მრავალფეროვნება;
- ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა და დასაშვები წესებით თევზჭერა;
- მდინარეების გათევზიანება და ლიფსიტების გამოყვანა;
- თევზის გადამუშავება და თევზის შემნახავი მაცივრები;
- ხიზილალას წარმოება;
- წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ბიზნესის ზრდის შესახებ რეკომენდაციები;
- სპორტული და სამოყვარულო თევზჭერა;
- გარემოს დაცვა.

კვლევის მონაწილეებს სურთ სხვადასხვა კუთხით **მხარდაჭერის მიღება თავიანთი საქმიანობისთვის** მეთევზეობის და თევზჭერის დარგში, მათ შორის, უმეტესად, შემდეგი მიმართულებებით:

- ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერის მიღება საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის;
- ბიზნესის მხარდაჭერა პროდუქციის რეალიზაციაში;
- ტექნოლოგიური დახმარება (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა);
- თევზის დაავადებების მართვის კუთხით იხტიოლოგიური, ვეტერინარული და ლაბორატორიული მხარდაჭერა;
- ზღვაში თევზაობის ნებართვის მიცემა უფრო დიდ მანძილზე, ვიდრე დღეს არის დაშვებული;
- უცხოური (თურქული გემებით) ხდებოდეს ნაკლები თევზჭერა, რადგან რესურსი აღარ რჩება ადგილობრივი მეთევზეებისთვის;
- თევზის საკვებზე იმპორტდამოკიდებულებაა დღეს და ეს აძვირებს პროდუქციას; საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება.
- ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლა;
- მდინარეების მოწესრიგება (მდინარეების გასწორება სპობს თევზს და ხელს უშლის თევზს ზღვიდან მდინარეში ამოსვლაში).

კვლევამ შეაფასა გამოკითხული პირების მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა არის **ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დღეს მეთევზეობის და თევზჭერის დარგში** და რესპონდენტთა პასუხების მიხედვით, გამოიყო შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ბრაკონიერობა და აკრძალული საშუალებებით თევზაობა;
- ლაბორატორიების ნაკლებობა და პროფესიონალი იხტიოლოგების სიმწირე;
- გლობალური დათბობის შედეგად წყლის ტემპერატურის მატება, რაც თევზების სასიცოცხლო არეალსაც ამცირებს;
- გარემოსდაცვითი საკითხები და მდინარეების დაბინძურება;
- უცხოური (თურქული) გემებით თევზჭერა, რაც ამცირებს თევზის რესურსს ადგილობრივი მეთევზეებისთვის;
- თევზის ნაკლებობა;
- ზღვაში შორ მანძილზე თევზაობის აკრძალვა;
- აკვაკულტურის საქმიანობა მოძველებული მეთოდებით;
- თევზზე დაბალი მოთხოვნა და ბაზარზე რეალიზაციის პრობლემები;
- თევზის საკვების სიძვირე, რაც საბოლოო პროდუქტსაც აძვირებს;
- ბიუროკრატიული და საკანონდებლო შეზღუდვები ბიზნესის დაწყებისა და გაფართოებისთვის;
- ზოგადი უყურადღებობა სახელმწიფოს მხრიდან მეთევზეობის დარგის მიმართ.

დამატებით, კვლევის მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი შეფასებები იმის შესახებ, თუ რა არის **ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა დღეს მეთევზეობის/თევზჭერის დარგში, რომელიც სახელმწიფო დონეზე მოგვარებას საჭიროებს** და მიღებულ პასუხებს შორის, გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- ბრაკონიერობა, უკანონო თევზჭერა, მონიტორინგისა და კონტროლის პრობლემები;
- თევზის კვებისა და დაავადებების მართვის შესახებ ცოდნის ნაკლებობა;
- ვეტერინარული და ლაბორატორიული შემოწმების პრობლემები;
- თევზის დაცული სახეობების შესახებ ცოდნის ნაკლებობა;
- ბადით თევზაობის დროს პრობლემურია ე.წ. „თანჭერილის“ შემთხვევები (აკრძალული სახეობის თევზი შეიძლება მოხვდეს ბადეში და ამის გამო ჯარიმა დაუწესდეს მეთევზეს);
- თევზის სამაცივრე მეურნეობების და გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა;
- ბიზნესების, ადგილობრივი მეთევზეობის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების ნაკლებობა;
- უცხოური (თურქული) გემებით საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში თევზჭერა;
- შეზღუდვები ზღვაში შორ მანძილზე თევზაობაზე;
- ლიცენზიების მიღების პროცედურები („*ლიცენზია დაეხმარება მეთევზეებს, რომ კანონიერად ითევზაონ და გარემოს დაცვის სამინისტროსაც ექნება შესაბამისი ინფორმაცია, სად დავდივართ სათევზაოდ და მეთევზეებსაც შიში არ ექნებათ*“).
- თევზის სახეობების შესწავლის სფეროში კვლევითი ცენტრის არარსებობა;

ზემოთ ჩამოთვლილ ღია კითხვებზე პასუხები საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის მეთევზეთა და მეწარმე-მეთევზეთა საქმიანობის მახასიათებლებზე, მათ ცოდნასა და დამოკიდებულებებზე სფეროში არსებული გამოწვევების მიმართ. შესაბამისად, რესპონდენტთა პასუხების გაანალიზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მდგრადი მეთევზეობის კონცეფციის პროექტისთვის.

მეთევზეთა (ფიზიკური და იურიდიული პირები) გამოცდილება თევზჭერაში და განწყობები საქმიანობის მიმართ

კვლევის ამ ნაწილში მონაწილეობა მიიღო რესპონდენტთაგან მხოლოდ იმ პირებმა (ფიზიკური და იურიდიული პირები), რომელთა საქმიანობაც უკავშირდება უშუალოდ მეთევზეობას (თევზჭერა და არა დამამუშავებელი წარმოება, საბითუმო ან/და საცალო ვაჭრობა თევზჭერის სფეროში). კითხვაზე „მას შემდეგ, რაც მეთევზეობა დაიწყეთ, შეგიცვლიათ თუ არა სათევზაო ადგილები?“ გამოკითხულთა (ჯამური რაოდენობა 40, საიდანაც ინდმეწარმე არის 26 და კომპანიები - 14) უმეტესობა (53%) პასუხობს უარყოფითად და 43% - დადებითად.

სათევზაო ადგილების შეცვლის მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ, მაგალითად, შემდეგს:

- დაბინძურებული ტერიტორიის მიტოვება და უკეთესი სათევზაო ადგილის ნახვა;
- თევზით მეტად მდიდარი ადგილების მოძიება;
- სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახეობის თევზის ჭერა;
- თევზის მიგრაცია;
- სეზონების მიხედვით თევზის რაოდენობა;
- ბიზნესის გაფართოების მიზანი;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

ამასთან, **სათევზაო ადგილების შეუცვლელობის მიზეზებად** რესპონდენტები ასახელებენ, მაგალითად, შემდეგს:

- არ არის საჭიროება;
- კარგი პირობებია უკვე არსებულ სათევზაო ადგილას;
- სამსახურთან ან/და საცხოვრებელთან ახლოს არის სათევზაო ადგილი;
- სათევზაო ადგილი პირადი საკუთრებაა.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, ჯამურად ყველა გამოკითხულის პასუხების გათვალისწინებით, თევზჭერას რესპონდენტები ახორციელებენ კვირაში საშუალოდ დაახლოებით 3-ჯერ, თვეში - 9-ჯერ, სეზონზე - 63-ჯერ და წელიწადში - 98-ჯერ. თევზჭერის სიხშირე განსხვავდება იურიდიული და ფიზიკური პირების შემთხვევაში (**ცხრილი 3**).

ცხრილი 3. თევზჭერის სიხშირე / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

შეკითხვა: რამდენად ხშირად გიწევთ თევზჭერა?
(პასუხები მიღებულია საშუალო შეწონილი მაჩვენებლით)

	ინდმეწარმეები (ფიზიკური პირები)	კომპანიები (იურიდიული პირები)
კვირაში	1.5	4.8
თვეში	6.6	32.6
სეზონზე	61.1	67.0
წელიწადში	75.9	137.9

კვლევამ ასევე შეაფასა მეთევზეების მიერ მოპოვებული თევზის რესურსის საშუალო მოცულობა, მაქსიმალური და მინიმალური მაჩვენებლები. პასუხები ამ შემთხვევაშიც განსხვავდება იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (**ცხრილი 4**).

ცხრილი 4. მოპოვებული თევზის რესურსის მოცულობა / მეთევზეთა გამოკითხვის შედეგები, 2024

შეკითხვა: შეგიძლიათ, გვითხრათ, რა იყო თევზის რესურსის ყველაზე დიდი და ყველაზე მცირე მოცულობა (კგ), რაც მოიპოვეთ თქვენი მეთევზეობის პრაქტიკაში?
(პასუხები მიღებულია საშუალო მაჩვენებლით)

	ინდმეწარმეები (ფიზიკური პირები)	**კომპანიები (იურიდიული პირები)**
ყველაზე დიდი (კგ)	1374	15669
ყველაზე მცირე (კგ)	2	2282

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე მეთევზეების უმრავლესობა (68%) არ იყენებს ნავს/გემს თევზაობისთვის (იურიდიული პირების 57% და ფიზიკური პირების 73%). მათ შორის, ვინც იყენებს ნავს ან გემს თევზჭერისთვის (სულ 11 გამოკითხული, 7 ინდმეწარმე და 4 - კომპანია), ყველა აღნიშნავს, რომ ის საკუთარ მფლობელობაშია და თითოეული მათგანი ერთ ნავს/გემს ფლობს (11-დან მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაფიქსირდა ერთეულ მოპასუხეზე ერთზე მეტი ნავის/გემის ფლობა).

ნავის ან გემის ოპერირების დროს გარემოს დაბინძურების საკითხების გასათვალისწინებლად კვლევაში მონაწილე მეთევზეები, ძირითადად, აცხადებენ, რომ მათი ნავი არის ნიჩბებიანი, ძრავის გარეშე და შესაბამისად, ზიანი არ ადგება გარემოს. თუმცა, ძრავიანი ნავის შემთხვევაში, რესპოდენტები აცხადებენ, რომ ისინი აკონტროლებენ, რომ საწვავმა არ გაჟონოს და არ ჩაიღვაროს ან ნარჩენები არ მოხვდეს ზღვაში.

თევზჭერის დროს ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების გათვალისწინების შესახებ შეკითხვის პასუხად, გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი ცდილობენ, არ დაანაგვიანონ და არ დააზიანონ ბუნება, ითევზაონ დადგენილი ნორმების ფარგლებში, წესების დაცვით. ასევე, რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ იშვიათი და დაცული სახეობის თევზების მიმართ დიდ სიფრთხილეს იჩენენ, არ იჭერენ მსგავს თევზებს და თუ მაინც მოხვდა ბადეში (ე.წ. „თანჭერილი“), აუცილებლად უკან უშვებენ წყალში.

რესპოდენტების აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, მეთევზეობის გარდა სხვა პროფესიას აირჩევნდენ თუ არა. ძირითად მიზეზად, თუ რატომ ისურვებდნენ სხვა პროფესიის არჩევას, გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებს შემოსავლის სიმცირეს ამ სფეროში; რამდენიმე რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ მეთევზეობა ძალიან რისკიანი საქმიანობაა და რთულია წყალში მუშაობა. რაც შეეხება გამოკითხულთაგან იმ პირებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მეთევზეობის გარდა, სხვა პროფესიას არ აირჩევდნენ, ამის მიზეზებად ისინი ასახელებენ ამ საქმისადმი სიყვარულს, შინაგან მოწოდებას და გატაცებას ზღვისა და წყლის მიმართ, სპორტულ აზარტს, ოჯახურ და ეროვნულ ტრადიციას და ასევე აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ თევზჭერის პროცესი მათ ამშვიდებს.